# გაუმარჯოს მუშების და გლეხების რევოლიუციას,

## მთელი ძალა-უფლება საბჭოებს.

## გაუმარჯოს ზავს! გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმობას!

რე მხარი მუშების და გლეხების მთავრობას, მტკიცეთ დაირაზმე პროლეტარიატის პარტიის, ბალშევიკების გარშემო, შეიგნე შენი ინტერესები, ხსნა შენს ხელთ არის.

დამფუძნებელი კრების არჩევნები ბრძოლის ერთი ფორმათაგანია. სიფხიზლეა საჭირო, რომ მტერმა არ გაიმარჯვოს.

ხმა მიეცით პროლეტარიატის პარტიას, მშრომელი ხალხის მედგარ დამცველ, ბურჟუაზიის შეურიგებელ მტერს—ბალშევიკებს; ხმა მიეცით პარტიას, რომელმაც ბრძოლის ცეცხლში გაატარა მიწის, ზავის და თავისუფლების დროშა.

ხმა მიეცით ბალშევიკების სიას № 6.

## ზავის წინააღმდეგ.

მუშების და გლეხების მთავრობამ ზავის დეკრეტი გამოსცა, რომლითაც წინადადება მისცა მეომარ ქვეყნების ხალხებს და მთავრობებს დაუყონებლივ შეუდგენ ზავზე მოლაპარაკებას. ამავე დროს მთავრობამ დაავალა გენერალ დუხონინს, რომელმაც კერენსკის მიმალვის შემდეგ ჯარის მთავარსარდლობა იკისრა, რომ მას გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარისთვის ფრონტზე პარლამენტიორები და წინადადება მიეცა დროებითი ზავის ჩამოსაგდებათ, იმ მიზნით, რომ გამართულიყო მოლაპარაკება ნამდვილი ზავის შესახებ.

რა არის დროებითი ზავი? ეს დროებით სისხლის ღვრის შეწყვეტაა. აშკარაა, თუ დროებით მაინც არ შეწყდა სისხლის ღვრა, ისე ზავზე მოლაპარაკება შეუძლებელია. მაშასადამე, ვინც სერიოზულათ ზავზე მოლაპარაკებას ფიქრობს, ის დროებითი ზავის მომხრეც უნდა იყოს.

მაგრამ სხვანაირათ გასაჯა კერენსკის ერთგულმა დუხონინმა. მან არ შეასრულა ეს დავალება და უკმეხათ გააცხადა, მთავრობასაც არ ვემორჩილებიო. ის ამბობს, რომ მთავრობისაგან ახალ დანიშნულ მთავარსარდალს მე თანამდებობას არ გადავსცემო.

ცხადია, ზავის წინააღმდეგ მარტო უცხოეთის იმპერიალისტები არ არიან. რამდენათაც შეუძლიათ, მათ ფეხის ხმას მისდევენ რუსეთის იმპერიალისტები. მაგრამ დღეს მდგომარეობა სხვანაირია. ხალხი თვით ჩაუდგა სათავეში თავის საქმეებს და ურჩ გენერლის სათამაშოთ არ გაიხდის თავს. იმედია, დუხონინს ისეთივე ბედი ეწევა, როგორც მის წინამორბედ კონტრ-რევოლიუციონერ კორნილოვს და ხალხის მოღალატე კერენსკის.

დუხონინი, როგორც ეტყობა, დეპეშებს აგზავნის ყველა ფრონტებზე და თანაგრძნობას ელის. უეჭველია, კონტრ-რევოლიუციონერი გენერლები მას თავის თანაგრძნობას არ მოაკლებენ და ეცდებიან, რაც შეიძლება დიდ ხანს გააჭიანურონ ომი. საბედნიეროთ გენერლების ამარა აღარ არის ქვეყანა. ჯარი, რომელიც წარმოადგენს შინელებში გადაცმულ გლეხებს და მუშებს, სასტიკი წინააღმდეგი იქნება დუხონინის იმპერიალისტურ-კონტრ-რევოლიუციონური მისწრაფებისა და სულ ადვილათ შესძლებს ალაგმოს ამ ვაჟბატონების და მის თანამგრძნობთა დაუსრულებელი თარეში.

იწყება ნამდვილი ბრძოლა ზავის გარშემო, რომელიც დღითი დღე უფრო გამწვავდება. დემოკრატია ამას სრულ ანგარიშს გაუწევს და მედგრათ დაუჭერს მხარს ზავის მთავრობის რევოლიუციონურ ნაბიჯებს. ის აშკარათ შეებრძოლება ზავის მოწინააღმდეგეთა მოქმედებას, ვისგანაც უნდა გამომდინარეობდეს იგი.

როგორც ვთქვით, დუხონინს მხარს დაუჭერენ მისი სისხლი და ხორცი, მისებრ მოაზრე იმპერიალისტები. კავკასიის ჯარის მთავარ სარდალს პრჟევალსკის უკვე უპასუხნია დუხონინისთვის,—მეც თქვენთან ვარო. აი მისი სიტყვები: „როგორც კავკასიის ფრონტის მეთაური, მე სავსებით ვუერთდები თქვენს მამაცურ გადაწყვეტილებას და გარწმუნებთ, რომ უმაღლეს მთავარ სარდლათ ვიცნობ მას, რომელსაც დანიშნავს რუსეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი მთავრობა“.

მაგრამ რომელია „სრულუფლებიანი მთავრობა“? ალბათ ის, რომელსაც პრჟევალსკი სცნობს. გამოდის, რომ პრჟევალსკიზეა დამოკიდებული—ვინ უნდა იქნეს ჯარის მთავარ სარდალი და ვინ უნდა გახდეს რუსეთის სრულ—უფლებიანი მთავრობა.

აშკარაა, პრჟევალსკის სახით კავკასიის ფრონტს ზავის მოწინააღმდეგე უფროსი ჰყავს. რას იზამს პრჟევალსკი მაშინ, როცა რუსეთის ჯარს განთავისუფლებენ დუხონინისგან? გაიზიარებს თუ არა მაშინ ის დუხონინის ბედს?

ზავის პრაქტიკული კამპანია დაიწყო. ის ორათ ყოფს მთელ რუსეთს. ვინც მომხრეა ზავის, მედგრათ უნდა დაუჭიროს მხარი მუშების და გლეხების მთავრობას.

## ფინლიანდიის რევოლიუცია

ოქტომბრის რევოლიუციამ რუსეთში თავისი პირველი გამოხმაურება ფინლიანდიაში მიიპოვა. ფინლიანდიას ახლა საფრთხე არ მოელის რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიიდან. ის თავის ხმას არ ელის მოღალატე კერენსკის მთავრობიდან; ამის გამო იქ კლასთა ბრძოლამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია, თავისი უაღრესი ფორმა—რევოლიუციის ხასიათი მიიღო.

დეპეშების ცნობით, ფინლიანდიაში უკვე დაიწყო რევოლიუცია. ორი უდიდესი კლასი—ბურჟუაზია და პროლეტარიატი დარაზმული დგას ერთმანეთის წინააღმდეგ. აქაც, როგორც რუსეთში, მუშების წითელ გვარდიას ბურჟუაზიის თეთრი გვარდია უპირდაპირდება, მაგრამ ფინლიანდიის მუშათა კლასს ძლიერი მოკავშირე ყავს ამ ქვეყანაში; ეს არის რუსეთის რევოლიუციონური ჯარი, რომელიც სავსებით ემხრობა წითელ გვარდიას და მზათ არის მასთან ერთათ იბრძოლოს მტარვალების წინააღმდეგ.

რუსეთის ჯარი მთელი ქვეყნის ჟანდარმის როლში—ასე იცნობდა ევროპა რუსეთის ჯარს. ახლა ეს ჯარი თავისუფლების ერთგული დარაჯია და ეს მისი როლი პირველათ ფინლიანდიამ გაიცნო. ამ როლს მალე სცნობს მთელი ქვეყანა და ფინლიანდიის პირველ მერცხალს მოყვება ნამდვილი გაზაფხული ხალხის ახალი ცხოვრებისა.

ფინლიანდიაში უკვე შესდგა სოციალისტური სამინისტრო, მიუხედავათ იმისა, რომ სეიმში სოციალ-დემოკრატები არ წამოადგენენ უმრავლესობას. აქედან აშკარაა, როცა ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო აღარ გამოხატავს მებრძოლ ძალთა ნამდვილ ურთიერთობას, ის კარგავს თავის მნიშვნელობას და ადგილს უთმობს ძალთა რეალურ განწყობილებას, რომელიც იქმნება პარლამენტის კედლების გარეთ.

სენატი უკვე გადადგა. სეიმის დათხოვნაც მორიგი კითხვაა. გამარჯვებული მუშები მოითხოვენ სეიმის დაშლას და მის მაგიერ კერენსკის მიერ დათხოვნილ სეიმის მოწვევას; შესაძლებელია, სეიმის ახალი არჩევნები დაინიშნოს. ყოველ შემთხვევაში ხალხის განთავისუფლების საქმე ფინლიანდიაშიაც საიმედო გზაზე დგას. რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობას გვერდში ამოუდგა ფინლიანდიის მშრომელი ხალხის მთავრობა.

რუსეთი დღეს მარტო არ არის. მასთან ერთათ იმავე მიზნებით გამსჭვალული დგას ფინლიანდიის ხალხი, რომელსაც ის დაიცავს ყოველგვარი თავდასხმიდან, როგორც საკუთარ თავისუფლებას.

რუსეთის რევოლიუცია მთელი ქვეყნის მშრომელთ უყივის საბრძოლველათ, მტარვალობის დასამხობათ, თავისუფლების დასამყარებლათ. მან უკვე ჰპოვა გამოხმაურება და ჰპოვა უფრო ადრე, ვიდრე მთელი ქვეყნის რეაქცია დაირაზმებოდა. მშრომელი ხალხის სოლიდარობამ მოასწრო მტარვალების შეთქმულობას და თუმცა ეჭვი არ არის, რომ შემდეგ მაინც მოახერხებენ ხალხის მჩაგვრელნი ერთმანეთს ხელი გაუწოდონ, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ დაძრული ტალღა პროლეტარიატის სოლიდარობისა უფრო მალე იზღვავდება და შეუბრალებლათ წალეკავს საუკუნოებით განმტკიცებულ უსამართლობას.

ფინლიანდიის რევოლიუციის გამარჯვება რუსეთის რევოლიუციის გამარჯვებაა. ისინი ერთი მეორის ბურჯი და საიმედო მოკავშირე არიან.

ჩვენ აღტაცებით ვეგებებით ამ გამარჯვებას, რომელიც მხნეობას მატებს ძლევა-მოსილ პროლეტარიატს.

გაუმარჯოს ფინლიანდიის რევოლიუციას.

## სიტყვა და საქმე.

ქართველ ხალხს ერთი კარგი თქმულება აქვს, სახელდობრ: სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდევს დიდი ზღვარი. და ეს თქმულება, სხვათაშორის, ზედგამოჭრილია ჩვენებურ მენშევიკებზე. ისინი სიტყვით რომ ერთს ამბობენ, საქმით სულ სხვას აკეთებენ.

სიტყვით რა არ გინდათ რომ ისინი არ ძლეოდენ ან არ გვპირდებოდენ, მაგრამ ამათი საქმე ისევე შორს არის იმათ სიტყვიდან, როგორც ცა დედამიწისაგან.

დავიწყოთ გინდ იმიდან, რომ ისინი თავის თავს სოციალისტებს უწოდებენ, მაგრამ თითქმის მთელი იმათი მოღვაწეობა სოციალიზმის უარისყოფაა. ყველა იმათ, ვინც კი ფიქრობს, რომ კაპიტალიზმის განვითარებამ მთელ მსოფლიოში უკანასკნელ საფეხურს მიაღწია, რომ ბურჟუაზიულმა წყობილებამ დღევანდელი ავაზაკური ომის გამოწვევით მთელი კაცობრიობა დაღუპვის კარამდე მიიყვანა, ვინც ფიქრობს, რომ კაცობრიობის ხსნა შეუძლია კაპიტალისტური წყობილების საძირკველის ნელ-ნელა და თანდათან მოშლას და სოციალისტური ნაბიჯების გადადგმას, ყველა ამათ ჩვენი მენშევიკები ანარქო-სინდიკალისტებს, ბლანკისტებს ან პირდაპირ ანარქისტებს და უტოპისტებს უწოდებენ. მენშევიკების აზრით, სოციალისტურმა პარტიებმა დღევანდელ რევოლიუციის დროს ხელი უნდა შეუწყონ კაპიტალისტური წყობილების გამაგრება-განმტკიცებას.

აი, როგორ ესმით მენშევიკებს სოციალიზმი. ასეთ „სოციალისტს“ რომელი ბურჟუა ან მემამულე არ მიემხრობა!

მენშევიკები უწოდებენ თავის თავს სოც.-დემ. მუშათა პარტიას. მაგრამ რა აქვთ მათ მუშებთან საერთო, გარდა სიტყვისა? ამას წინათ ისინი პირდაპირ სწერდენ, რომ მუშა ხალხს რუსეთში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, იგი ერთი მუჭა მცხოვრებლებს წარმოადგენენ; ამიტომ მუშა ხალხის ადგილი იმათ პროგრამაში დაიჭირა წვრილმა და საშუალო ბურჟუაზიულმა მასსამ, რომელსაც ისინი „ფართო დემოკრატიას“ უწოდებენ.

მენშევიკები სწორეთ ამ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის სულისკვეთებას გამოხატავენ. ამიტომ მუშებთან მათ საერთო თითქმის არაფერი აქვთ. ამიტომ სრულებით გასაკვირალი არ არის ის გარემოება, რომ პროლეტარიატის და ღარიბესი გლეხების დიქტატურა იმათ, როგორც წვრილ ბურჟუებს, სრულებით ძილს უფრთხობს და აშფოთებს. ამიტომ ადვილი გასაგებია ის გარემოება, რომ მენშევიკები მხარს უჭერდენ და სრულ ნდობას უცხადებდენ კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის მთავრობას კერენსკის მეთაურობით; აქედან ჩვენთვის აშკარა უნდა იყოს ის გარემოება,—რისთვის ეწინააღმდეგებიან ჩვენი მენშევიკები ასეთი გაფთრებით მუშების და გლეხების მთავრობას, რომელიც შექმნა პეტროგრადში 24—25 ოქტომბერში მუშების, სალდათების და გლეხების საბჭოების სრულიად რუსეთის სიეზდმა. მუშათა პარტია მუშების წინააღმდეგ! მშრომელი მასსის ინტერესების დამცველები მშრომელი კლასების ხელში ძალა-უფლების გადასვლის წინააღმდეგ!

აი ასეთი წინააღმდეგობაა მენშევიკების სიტყვასა და საქმეს შუა. ამას უნდა მოეღოს ბოლო. ეს უნდა იკისრონ თვით მუშებმა და ულარიბესმა გლეხებმა. მუშების და კაპიტალისტების მორიგება შეუძლებელია. მენშევიკებს სწორეთ ამ ორი მოწინააღმდეგე კლასების შეთანხმება და მორიგება სურთ. მაგრამ არ შეიძლება, თუ მუშების ინტერესები არ იქნა შელახული. მუშები ამას უკვე იგნებენ და ისინი მალე იპოვნიან იმ პარ-

ტიას, რომელიც მარტო იმათ ინტერესებს იცავს.

მენშევიკები ახლა გადაჭრით აცხადებენ, რომ დამფუძნებელ კრებაზე იმათი წარმომადგენლები მხარს დაუჭერენ დაუყონებლივ ზავის ჩამოგდებას და მიწის გლეხების ხელში გადასვლას. ეს ძლიერ კარგი დაპირებებია. მაგრამ ერთი უნდა ვიკითხოთ: რა მოხდა, რომ მენშევიკები სოც.-რევოლიუციონერებთან ერთად 8 თვის განმავლობაში მთელი თავისი ძალ ღონით ეწინაალმდეგებოდენ როგორც ზავის ჩამოსაგდებათ გადაჭრილ ნაბიჯების გადადგმას, ისე მიწების გლეხების ხელში გადასვლას? არათუ რამდენიმე თვის, არამედ ერთი დღით ადრე რომ გათავებულიყო დღევანდელი მტაცებლობითი ომი, რამდენი ადამიანი გადარჩებოდა სიკვდილს, რამდენი სიმდიდრე გადარჩებოდა განადგურებას! განა ეს არ იქნებოდა კაცობრიობისთვის სასარგებლო? ასევე ითქმის მიწების შესახებაც. მიწები რომ თავის დროზე გადასულიყო ხალხის ხელში, ვთქვათ ან მარტში, ან შემოდგომის წინ, განა დათესილ მინდვრების რაოდენობა ერთი ორათ არ იმატებდა, რითაც შიმშილი დაძლეულ იქნებოდა, სულ თუ არა რამდენიმეთ მაინც!

მაგრამ ნუ თუ დასაჯერებელია, რომ მენშევიკებს მართლა გულწრფელათ სურდათ დაუყონებლივ ზავის ჩამოგდება ან მიწების ხალხის ხელში გადასვლა?

რომ ეს ასე იყოს, ისინი სულ სხვ ნაირათ შეხვდებოდენ იმ პირველ ნაბიჯებს, რომლებიც მუშების და გლეხების ცენტრალურმა მთავრობამ გადადგა თავის არსებობის პირველ დღესვე. ეს რომ ასე ყოფილიყო, ისინი მტრულათ კი არ შეხვდებოდენ დეკრეტებს ზავის დაუყონებლივ ჩამოგდების და მიწების დაუყონებლივ გლეხების ხელში გადასვლის შესახებ. იმის მაგიერ რომ მიესალმონ ამ დეკრეტებს და ხელი შეუწყონ იმათ განხორციელებას რაც შეიძლება დაჩქარებით, ვინაიდან ამას თხოულობს ხალხის ინტერესები, ვინაიდან ზავის გადადება თუნდ ერთი წუთითაც კი უდიდესი ბოროტებაა, მენშევიკები და ესერები მარტო იმის ცდაში არიან, რომ როგორმე ახალი რევოლიუციონურ მთავრობის ზომებს, იმ მთავრობის, რომელიც ეყრდნობა მუშების, გლეხების და ჯარისკაცების საბჭოებზე, ხელი შეუშალონ და სახელი გაუტეხონ.

ამიტომ ყველა დემოკრატიული ამომრჩეველი უნდა დაფიქრდეს და არ დაუჯეროს ლამაზ სიტყვებს და კარგ დაპირებებს, რომლებსაც მენშევიკები და ესერები არიგებენ მარცხნივ და მარჯვნივ ეს დაპირებები სრულებით არაფრათ ღირს. ფასი და მნიშვნელობა აქვს მხოლოთ საქმეს. მენშევიკები და ესერები კარგს დაპირებებს იძლევიან, მაგრამ იმათი საქმე კი ჩვენ სულ წინაალმდეგს ვვეუბნება; ე. ი. საქმით ისინი ხალხს ღალატობენ. ასეთია ერთით ერთი დასკვნა, რომელიც იმათ მოღვაწეობიდან ბუნებრივათ გამომდინარეობს. არც მუშამ, არც ჯარისკაცმა და არც გლეხმა მენშევიკების და ესერების პარტიებს თავის ხმა არ უნდა მისცეს.

თქვენი ხმა, მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო სამართლიანათ ეკუთვნის თქვენი ინტერესებისათვის ერთგული და დაუცხრომელ მებრძოლთ პარტიას, რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიას ბოლშევიკების სიას № 5.

ფ. მ.

# დღეს.

დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ყველა პარტია ლამაზათ ირთვება და ცდილობს ხალხს თავი მოაჩვენოს ერთათ ერთ ხალხის მეგობრათ. ესერები და მენშევიკები ამ მხრით არავის ჩამორჩებიან. ესერები გაჰკივიან: ჩვენი ლოზუნგია მიწა და თავისუფლება. მენშევიკები ცდილობენ მათ გადააჭარბონ და თავის დროშაზე აწერენ: ზავი, მიწა და თავისუფლება.

აგვირჩიეთ ჩვენ და უეჭველათ მოგიპოვებთ ზავს, მიწას და თავისუფლებასო—არწმუნებენ ისინი გულუბრიყვილო ამომრჩეველს. მაგრამ ამომრჩეველს სრული უფლება აქვს კითხოს ამ პარტიებს: რატომ არ მოგვიპოვეთ ეს სიკეთენი მაშინ, როცა თქვენ უდექით სახელმწიფოს სათავეში? რატომ დაივიწყეთ ხალხის ინტერესები მაშინ, როცა შეგეძლოთ მისი სამსახური? რატომ ამოუდექით ბურჟუაზიას გვერდში და მასთან ერთათ აწარმოვეთ ომი?

რატომ დაიცავით მემამულეების ინტერესები და რათ შეარჩინეთ მათ მიწა, იმის ნაცვლათ, რომ ის ხალხისთვის გადაგეცათ? თავისუფლების მოპოების ნაცვლათ, რათ აკანონებდით სიკვდილით სასჯელის აღდგენას, რათ ყრიდით იარაღს რევოლიუციონურ მუშებს და სალდათებს, რათ სდევნიდით და ციხეებში ამწყვდევდით ნამდვილ რევოლიუციონერებს—ბოლშევიკებს?

როცა ხალხმა ნდობით შეგმოსათ, მთელი ძალა ხელთ მოგცათ, თქვენ ვერ გაამართლეთ ეს ნდობა, ხალხის მტრებს დაუკავშირდით. დღეს თქვენ გაკოტრებული ხართ და ხალხს ეუბნებით—კიდევ გამოგვიცხადე ნდობაო,—რა უფლების ძალით? სად არის იმის გარანტია, რომ კვლავ არ უღალატებთ ხალხს

მენშევიკები ასეთ მარგალიტსაც სწერენ: „ჩვენ პარტიას ნამდვილი პირდაპირი გზა აქვს ზავის ჩამოსაგდებათო“. რა პირდაპირ რა გზა აქვს, რატომ არავის ეტყვიან? ეს სოფლის მკითხავებმა იციან: ერთს შეუკითხავ, და უეჭველათ მოგარჩენო. წავიდა მკითხავების დრო მოკვდა სიტყვების ხანა საქმე! საქმე! საქმემან შენმან გამოაჩინოს შენ

მომავალი კატასტროფა და მასიან ბრძოლა.

ნ ლ ე ნ ი ნ ი

გაგრძელება იხ. № 27.

**სავაჭრო საიდუმლოების გაუქმება.** სანამდის სავაჭრო საიდუმლობა არ იქნება გაუქმებული, შეუძლებელი წარმოების და განაწილების ნამდვილი კონტროლი, ვინაიდგან ან უბრალო დაპირებით გადიცვა, რომლითაც კადეტები შესძლებენ მენშევიკების და ესერების მოტყუებას და ეს უკანასკნელნი კიდევ მშრომელ კლასებსას, ან კონტროლი უნდა განხორციელდეს რეაქციონერ ბიუროკრატიულის წესით და ღონისძიებით, ეს რომ ადვილი გასაგებია ყველასათვის. ვინც კი თვალობს ბანკებს, რა ირიგებს, ამაზე არ ერთხელ უთითებდა „პრავდა“ (რომელიც უმეტეს ნაწილად ამისთვის იყო დახურული კერენსკის, როგორც კაპიტალისტების მონის მიერ), მაგრამ არც ჩვენ რესპუბლიკანურ მთავრობას და არც მთავრობის „რევოლიუციონურ დემოკრატიის ორგანოებს“ ფიქრათაც არ მისვლიათ ნამდვილი კონტროლის დაწესება.

ნამდვილი კონტროლი დამოკიდებულია სწორეთ ამ სავაჭრო საიდუმლოების გაუქმებაზედ, რადგან მასში ჩამარხულია კაპიტალის მგრძნობიარე ძარღვი, რომელიც ყვლეფს ხალხს და საზოგადოებს უკეთებს წარმოებას. და ამიტომაც არის, რომ ეგრე ეშინიათ ესერებს და მენშევიკებს მისი ხელის ხლება.

კაპიტალისტები გვიმტკიცებენ ჩვეულებრივათ, და ამასვე თუთიყუშივით იმეორებენ წვრილი ბურჟუები, რომ კაპიტალისტურ მეურნეობას არასგზით არ შეუძლიან იცოცხლოს საიდუმლოების გარეშე, ვინაიდგან კერძო საკუთრება წარმოების იარაღზედ და დამოკიდებულება სხვა და სხვა მწარმოებლებისა ბაზრისგან მოითხოვს დაცულ იყოს „წმინდა ხელშეუხებლობა“ სავაჭრო წიგნებისა და რა თქმა უნდა აგრეთვე ბანკების ოპერაციებისა.

ვისაც ეს საბუთები მოჰყავს ამა თუ იმ ფორმით, ისინი ჯერ თავიანთ თავს ატყუებენ და შემდეგ ხალხსა; იმათ არ სურთ დაინახონ ორი უმთავრესი და ყველასთვის ცნობილი ფაქტი თანამედროვე სამეურნეო ცხოვრებაში. ერთი ასეთი ფაქტია მსხვილი კაპიტალიზმი ე. ი. თავისებური თვისებანი ბანკების მეურნეობისა, დიდრონ ფაბრიკების სინდიკატებისა და სხ., მეორე ფაქტია ომი.

მართლაც და თანამედროვე მსხვილი კაპიტალიზმი, რომელიც ყველგან მონოპოლიის ხასიათს ღებულობს, აღარ საჭიროებს „სავაჭრო საიდუმლობას.“ ეხლა ეს უკანასკნელი (სავაჭრო საიდუმლოება) გადიქცა ერთის მხრით პირმოთნეობათ და მეორის მხრივ აუცილებელ საშუალებათ, რომლითაც ხელთ ეფარება ფინანსიურ გაიძვერობას და მსხვილ კაპიტალის წარმოუდგენელ მოგებას. მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა თავის ტეხნიკურის ბუნებით უკვე წარმოადგენს საზოგადო მეურნეობას, ვინაიდგან იგი მუშაობს მრავალ მილიონ ხალხებისთვის და აერთიანებს თავის ოპერაციებით ათი ათასობით და ასი ათასობით ოჯახებს. სულ სხვაა პატარა ხელოსანთა ანუ საშუალო გლეხთა მეურნეობა, რომლებისთვისაც საჭირო არ არის არავითარი სავაჭრო წიგნები და მაშასადამე ამათ „სავაჭრო საიდუმლოებაზედ“ ლაპარაკიც კი მეტია.

მსხვილ მეურნეობაში ოპერაციების ვისგანმე დამალვა შეუძლებელია, რადგან ასმა და ათასმა კაცმა კარგათ იცის ესენი. კანონი, რომელიც იცავს „ვაჭრობის საიდუმლოებას“, ემსახურება არა წარმოების ან გაცვლის საჭიროებას, არამედ სპეკულიაციას, უსინდისოთ ჯიბეების გასქელებას და პირდაპირ გაიძვერაეშმაკობას, რომელნიც ფართოთ არიან გავრცელებულნი აქციონერულ საქმეებში. უკანასკნელნი უჩინარნი ხდებიან ანგარიშების და ბალანსების შეძწეობით, რომელნიც თავის სირთულით თვალებს უბმენ ხალხსა.

თუ „სავაჭრო საიდუმლოების“ დაცვა საჭიროა წვრილ მეურნეობისთვის, რომელიც თავის არსებით მოკლებულია საზოგადო ხასიათს, რადგან იგი გაფანტულია წვრილ-წვრილათ აქა იქ, მსხვილ მეურნეობში იგი საჭიროა მხოლოდ პრივილეგიების და უშველებელი მოგებების დასაცავად, ერთი მუჭა კაპიტალისტებისთვის წინაალმდეგ მთელის ხალხისა. ეს ცნობილია თვით კანონისგანაც, რამდენათაც იგი მოითხოვს აქციონერულ საზოგადოებებისაგან გამოაქვეყნონ ანგარიშები. უბედურობა მხოლოდ იმაშია, რომ ეს კანტროლი როგორც დაწინაურებულ ქვეყნებში, ისე რუსეთში სრულდება რეაქციონულ ბიუროკრატიულის წესით, რომელიც თვალს უბრმავებს ხალხსა და არ აძლევს შეძლებას გაერკვიოს აქციონერულ საზოგადოებების ოპერაციების სინამდვილეში.

თუ გვინდა ვიმოქმედოთ რევოლიუციონურ დემოკრატიულათ, უნდა დაუყოვნებლივ გამოიცეს სულ სხვა კანონი, რომელიც გააუქმებს სავაჭრო საიდუმლოებას, მოითხოვს მსხვილ მეურნეობისაგან და მდიდრებისაგან წარმოდგენილ იქნეს სრული ანგარიში და მიანიჭებს მოქალაქეთა ერთ რომელიმე ჯგუფს, შემდგარს მაგალითად 1000 ანუ 10000 კაცისგან, უფლებას გაუშინჯოს დოკუმენტები მსხვილ წარმოების პატრონს. ეს ღონისძიება სულ ადვილი შესასრულებელია უბრალო დეკრეტით, რომელიც გადაშლიდა ხალხის კანტროლის უნარს მოსამსახურების საბჭოების სახით ანუ მუშების საბჭოების და ყველა პოლიტიკური პარტიების შემწეობით. კანტროლი მხოლოდ მაშინ იქნებოდა სერიოზული და დემოკრატიული.

უნებური სიმართლე.

ხან და ხან მენშევიკებსაც წამოსცდებათ ხოლმე სიმართლე. ამ უკანასკნელ ხანს იმდენს გვლანძღავენ, რომ სალანძღავი მასალა მთლათ შემოელიათ და თუ აქამდე წვრილ-ბურჟუაზიასთან გვაბეზღებდენ—ბოლშევიკები სოციალისტები არიანო, ახლა რევოლიუციონერობასაც გვიკიჟინებენ. აი რასა სწერენ ისინი „ერთობის“ უკანასკნელ ნომერში:

„(ბოლშევიკებმა) ყველგან უკმაყოფილო ელემენტებში რევოლიუციონური სულის კვეთების, რევოლიუციონური ნების გაძლიერება პოლიტიკურ კრედოთ დაისახეს.“

უნდა გამოვტყდეთ, ეს ცოდვა მართლა მიგვიძღვის რევოლიუციის წინაშე. უკმაყოფილო ელემენტებში რევოლიუციონურ სულის კვეთებას ვაძლიერებთ, მათში შეგნება შეგვაქვს და მათ ერთ ძლიერ ბანაკათ ვრაზმავთ მტარვალების წინაალმდეგ. ჩვენ ამით ვასრულებთ ჩვენს ვალს რევოლიუციის წინაშე, ჩვენ ვაფხიზლებთ ხალხის დაჩაგრულ ნაწილებს, ვაძლიერებთ მის რევოლიუციონურ ნების ყოფას და ვუჩვენებთ, რომ გზა ხსნისა მხოლოთ ბრძოლაშია. ჩვენ გვგონია, ვინც ადუნებს ხალხის რევოლიუციონურ ენერგიას, ვინც ქადაგებს, რომ ხალხის მოსისხლე მტრებთან შეიძლება საქმის მორიგებით, შეთანხმებით გათავება, ის ღალატობს ხალხს, ღალატობს რევოლიუციას და ღირსი არ არის რევოლიუციონერის სახელი ატაროს.

მენშევიკებმა სიმართლე თქვეს: ჩვენს მოვალეობად ჩვენ მართლა მიგვაჩნია რევოლიუციონური სულისკვეთების, რევოლიუციონური ნების გაძლიერება.

ჩვენ ახლავე გადვუხდით სამაგიეროს მენშევიკებს და მათ შესახებ სრულ სიმართლეს ვიტყვით: მათ თავის მოვალეობათ რევოლიუციის წინაშე სულ წინაალმდეგი მიაჩნიათ: რევოლიუციის მოდუნება, რევოლიუციონურ და კონტრრევოლიუციონურ კლასების მორიგება, გაბატონებულ კლასების ხელუხლებლობა—აი რა მიაჩნია მათ თავის პოლიტიკურ კრედოთ.

ეს ორი სიმართლე ცხად ყოფს მათ მატარებელთა ნამდვილ ფიზიონომიას. რევოლიუციის გაძლიერება, თუ მისი მოდუნება და მოსპობა,—ასე დგას კითხვა. ხალხის ჭეშმარიტი მეგობარი ადვილათ გაარჩევს, რომელია მათში ხალხის მხსნელი და რომელია დამღუპველი.

## მთავრობის ცნობა სოციალურ დაზღვევის შესახებ

რუსეთის პროლეტარიატმა თავის დროშაზე წააწერა დაქირავებულ მუშებისა და აგრეთვე ქალაქისა და სოფლის ღარიბ-ღატაკთათვის სრული სოციალური დაზღვევის შემოღება. მემამულეების და კაპიტალისტების მთავრობამ როგორც მეფის თვითმპყრობელობის დროს, ისე კოალიცია—შეთანხმების ხანაში მუშების მოთხოვნები დაზღვევის საქმეში არ განახორციელა.

მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელიც მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს ემყარება, რუსეთის მუშათა კლასს, აგრეთვე ქალაქის და სოფლის ღარიბ ღატაკთ უწყებს, რომ ის დღეიდანვე შეუდგება დეკრეტების გამოცემას სრული სოციალური დაზღვევის განსახორციელებლათ, რაიცა გამოიხატება მუშათა დაზღვევის საქმის შემდეგი ლოზუნგებით.

1) დაზღვევის წესი უნდა ვრცელდებოდეს ყველა დაქირავებულ მუშებზე უკლებლივ, აგრეთვე ქალაქის და სოფლის ღარიბებზედაც.

2) დაზღვევა უნდა უზრუნველყოფდეს ყველას, ვისაც კი რაიმე დარგის შრომის ნიჭი ოდნავ დაუკარგავს. სახელდობრ, სახეში მისაღებია ავათმყოფობა, დაშავება, დავრდომა-მოხუცება, მშობიარობა, ქვრივობა, ობლობა და აგრეთვე უმუშევრობა.

3) დაზღვევისათვის საჭირო თანხის გაღება სრულად მწარმოებელთაგან.

4) შრომის ნიჭის დაკარგვისა და უმუშევრობის დროს მუშას უნდა ეძლეოდეს მისი დღის ქირის რაოდენობის შესაფერი დაკმაყოფილება მაინც.

5) სრული თვითმართველობის შემოღება დაზღვევის საქმის ყველა ორგანიზაციებში.

რუსეთის რესპუბლიკის სახელით შრომის სახალხო კომისარი ალექსანდრე შლიაპნიკოვი.

## მუშათა წერილები

„ერთობას“ გზა კვალი აერია, და ქართველ მუშებსაც, ამ ერთხელ ნაქებ ნადღეჲ მებრძოლებს, რევოლიუციონური სული გამოაცალა.

„ერთობას“ მიერ რვა თვის განმავლობაში ჩადენილ ცოდვებს თავი დავანებოთ; დავიწყოთ იქიდგან, რომ როცა პეტერბურგის, მოსკოვის და სხ. საბჭოებში გამოვიდნენ ბოლშევიკების მეთაურობით და თავიანთ დიდი ხნის მოსისხლე მტერს—ბურჟუაზიას სასიკვდილო ბრძოლა გამოუცხადეს, როცა აღსდგა ათას წლობით ჩაგრული ხალხი თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ, ამ დროს გაზ. „ერთობა“ და მისი სულის ჩამდგმელები, ჩაგრული ხალხისა და მათი მეთაურების ლანძღვა გინებისა და დამცირების მეტს არას აკეთებენ. ამ ვითომდა მუშების გაზეთს ამ ბრძოლის დროს მუშების საბჭოების და მათი მეთაურების ამხ. ლენინის და ტროცკის გინებაში ამოსდით სული.

25 ოკტომბრიდან დღემდის „ერთობის“ ფურცლებზედ ერთი სტრიქონს ვერ წაიკითხავთ ისეთს, რომ ბოლშევიკებს არ ლანძღავდეს.

ეს უკავრავათ 3 ნომრის სოციალისტური გაზეთი, ნამდვილ სოციალისტებს ზიზღით იხსენიებს და სოციალისტების მოწინააღმდეგე კერენსკის, გოცს, სავინკოვს და კომპანიას ქუნქრუკს უკმევს.

ეს თუ ასე არ არის, როგორ მოხდა, რომ ორი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ შეეხო ამ ვაჟბატონებს, რომლებმაც მართლა გამოიწვიეს სისხლის ღვრა რუსეთში.

ვინ გამოუცხადა წინათ ნდობა კერენსკის და კომპანიას, ვინ შემოსა ისინი ძალა-უფლებით? საბჭოებმა. ვინ გამოუცხადა ამავე კერენსკის და კომპანიას უნდობლობა? იმავე საბჭოებმა. მაშ რათ არ ჩამოშორდენ უსისხლოთ? იმიტომ, რომ ბატონობა გაუტკბათ ბურჟუაზიასთან ერთათ.

ვინ ჩამოაგდო ნიკოლოზი თავის რეჟიმით? პეტროგრადის მუშებმა და გარნიზონმა. ვინ ჩამოაგდო კერენსკის მთავრობა? იმავე მუშებმა და გარნიზონმა. რათ იყო თქვენთვის მაშინ კარგი და ახლა ცუდი? იმიტომ რომ ნიკოლოზის ტახტის ნანგრევებზედ ბურჟუაზიასთან, ერთათ თქვენც გაბატონებულათ მიგაჩნიათ თქვენი თავი.

ახლა კი თავის პატრონ პატრონი ხდება მუშები, გლეხები და ჯარი თქვენ დაუკითხავათ. ეს ბურჟუაზიის ბატონობის გაუქმებას ნიშნავს. და ეს გაღელვებთ თქვენ, როგორც ბურჟუაზიის ერთგულ მონებს! ეს რომ ასეა, თვალსაჩინოთ დაამტკიცა პროლეტარიატისა და გარნიზონის გამოსვლამ თავის პირდაპირი მტრის წინააღმდეგ.

ვინ წაიყვანა იმათ წინააღმდეგ იუნკრები, ეს ბურჟუას შვილები და ნაწილი კაზაკებისა—ეს ნაფიცი კონტრრევოლიუციონერი გენერალი კალედინის ჯარი? ეს თქვენმა ნაქებმა კერენსკიმ, გოცმა, სავინკოვმა და კომპანიამ. ამას ამტკიცებს ყველა ბურჟუაზიული გაზეთები და მათთან ერთათ გაზეთი „ერთობაც“.

ავიღოთ ერთი მაგალითიც. შესდგა წითელი გვარდია; ვინ შედის შიგ? მუშები, გლეხები, ჯარისკაცები, საზოგადოთ მშრომელი ხალხი, ესე იგი წითელი გვარდია რევოლიუციონური.

შესდგა წითელი გვარდიის მოწინააღმდეგე თეთრი გვარდია, ვინ შედის შიგ? იუნკრები, ჩინოვნიკები, ნაწილი კაზაკებისა და ნაძირალები. ვინ მეთაურობს წითელ გვარდიას? საბჭოები, ბოლშევიკები, ლენინები, ტროცკები.

ვინ მეთაურობს თეთრ გვარდიას? საბჭოების მოწინააღმდეგები კერენსკები, გოცები.

ვისკენაა გაზეთ „ერთობის“ სიმპატია თეთრ გვარდიისაკენ!!!

ეს, ამხ. თ.—რიას არ იყვეს, სირცხვილია და სიკვდილიც გაზეთ „ერთობის“ მიმდევარ თუ ინტელიგენციისთვის არა, მუშებისთვის მაინც.

ანგარა

## კრება

ტფილ. დალაქ-პარიკმახერთა პროფ. კავშირის გამგეობა ამხ. საყურადღებოთ აცხადებს, რომ ორშაბათს 13 ნოემ. საღამოს 7 საათზე დანიშნულია საზოგადო კრება კავშირთა საერთო დარბაზში (პეტრე დიდის ქუჩა № 13.) დღიური წესი იგი:

1. მიმდინარე მომენტი
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. გამგეობის წევრთა რეორგანიზაცია.

კრების გახსნამდე დარიგდება ს წევრო ბარათები და ამიტომ ვთხოვთ ამხ. [illegible]

# № 5 სია № 5

# დამფუძნებელი კრების

კანდიდატებისა.

რომელიც წამოყენებულია კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ (რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკებისა).

1. შაუმიანი სტეფანე გეორგის ძე, სრულიათ რუსეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატთა საბჭოების ცენტრ. აღმ. კომიტეტის წევრი. ბაქო.

2. ჯუღაშვილი (კობა, სტალინი) იოსებ ბესარიონის ძე, ლიტერატორი. პეტროგრადი.

3. ნარიმანოვი ნარიმან,-დოქტორი. ბაქო,

4. ფიოლეტოვი ივანე ტიმოთეს ძე, მუშა, ნავთის მრეწველობის მუშათა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარე და ბაქოს მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო-ბალახანი.

5. ცხაკაია მიხეილ გრიგოლის ძე, ჟურნალისტი, ტფ. საქ. საბჭოს ხმოსანი. ტფილისი.

6. მახარაძე ფილიპე იესეს ძე, ლიტერატორი, ტფ. საქ. საბჭოს ხმოსანი. ტფილისი.

7. ჯაფარიძე (ალიოშა) პროკოპი აპრასიონის ძე, ბაქოს მ. და ს. დ. საბჭოს წევრი. ბაქო.

8. თოდრია სილიბისტრო იესეს ძე, მუშა, ტფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. ტფილისი.

9. ნაზარეტიანი ამაიაკ მარკარის ძე, ტფ. მ. დ. ს. დ. ს. წევრი. ტფილისი.

10. ქავთარაძე სერგეი ივანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. ტფილისი.

11. კუზნეცოვი ნიკოლოზ მიხეილის ძე, სტატისტიკოსი, ტფ. მ. და ს. დ. ს. ა. კ. წევრი. ტფილისი.

12. ისრაფილბეკოვი მაკუბეი, დოქტორი. ბაქო.

13. დენისოვი ათანასე ექვთიმეს ძე, სალდათი, ტფ. მ. და ს. ა. კ. წევრი.

14. ოკუჯავა მიხეილ სტეფანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. ტფილისი.

15. ხანოიანი სარქის მელიქ., პედაგოგი, ჟურნალისტი. ტფილისი.

16. მიშჩენკო კორნილი ვასილის ძე, სალდათი, ტფ. მ. და ს. ს. წევრი. ტფილისი.

17. შავერდოვი დანიელ ალექსის ძე, ნაფიცი ვექილი, ტფ. საქალაქო ხმოსანი. ტფილისი.

18. [illegible] სოლომონის ძე, სალდათი. სრულიათ რუსეთის მ. დას. დ. საბჭ. აღ. კ. წევრი. პეტროგრადი.

19. ტოროშელიძე მალაქია გიორგის ძე, იურისტი, ჟურნალისტი, ტფ. საქ. საბ. ხმოსანი. ტფილისი.

20. რამიშვილი [illegible] დავითის ძე, სამხედრო ექიმი, თელავი.

21 ზარგარიანცი ალექსანდრე ოჰანესის ძე, მუშა. ბაქოს მუშათა და სალ. დეპ. საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო.

22. ერქომაიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, კოოპ. რაზმერი, ტფილისი.

23. იაგუბოვი სურენ დოკუფერი, მუშა. ბაქო-ბალახანი.

24. დუმბაძე ვლადიმერ ელიზბარის ძე, მუშა, ტფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. ტფილისი.

25. კოლესნიკოვა ნადეჟდა ნიკოლოზის ასული, პედაგოგი. ბაქო.

26. აზიზბეკოვი მაშადიბეგ, ინჟინერი. ბაქო.

27. ნანეიშვილი ბიქტორ ივანეს ძე, პედაგოგი ბაქო.

28. ათაბეგოვი არშაკ ნაზარის ძე, ბუნების მეტყ., ტფ. საქ. ს. ხმოსანი

29. არველაძე პეტრე იაკობის ძე, სალდათი. ალექსანდროპოლი.

30. ზევინი იაკობ დავითის ძე (პაველ კუზმიჩ) მუშა. ბაქო-ბალახანი.

31. ლეჟავა სიმონ კონსტანტინეს ძე, დოქტორი. ფოთი.

32. გაბრიელიანცი (კარინე) არტაშ [illegible] ასის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. ბაქო.

33 თერიანი ვაგანი სუკიასის ძე, პოეტი. ახალქალაქი.

34. მრავიანი ასკანაზ არტემის ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი. ტფილისი.

35 ბიკოვი მიხეილ ივანე მუშა ბაქო-ბალახანი.

36. იოანნისიანცი ამბარცუმ გუ[illegible]ნის ძე პედაგოგი, ეჩმიაძინი.

კავკასიის საოლქო კომიტეტი
რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკები).

ელ. ქტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, ლორის მელიქოვის ქუჩ